ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №813652

ნომერი: AR1144349

თარიღი : 05.07.2013

გაცემის თარიღი : 26.07.2013

გაცნობის თარიღი : 26.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის III მ/რ, , ნუცუბიძის ქუჩა N129 / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის III მ/რ, , ნაკვეთის N061-ის მომიჯნავედ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბენი ელიშაყოვი პ/ნ 01015003838
- ნუცუბიძის 129ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 13.12.2010 წ. #1742 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქემ ბენი ელიშაყოვმა 05.07.2013 წ. #AR1144349 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის მიერ 13.12.2010 წ. #1742 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ: ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 13.12.2010 წ. გაცემულ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ნუცუბიძის III მ/რ. ნუცუბიძის ქუჩა #129; ნუცუბიძის III მ/რ. ნაკვეთი #601-ის მიმდებარედ (საკადასტრო

კოდი: #01.14.02.025.117; ფართობი: 1252.00 კვ.მ.) კომერციული ცენტრის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1742 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის მიერ 13.12.2010 წ. გაცემულ #1742 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: შერეული ფუნქციის ობიექტის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) დაფიქსირებას.

სამსახურის მიერ 13.12.2010 წ. მომზადებული #1742 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 13.12.2010 წ. #1742 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

გადაწყვეტილება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.12.2010 წ. #1742 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ:

ა) საპროექტო მიწის ნაკვეთის ფუნქციად დაფიქსირდეს: შერეული ფუნქციის ობიექტი (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული;

ბ) დაემატოს შენიშვნა: მიწისქვეშა სივრცეში ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვროს ბინების რაოდენობის შესაბამისად;

გ) დაემატოს ჩანაწერი: საექსპერტო შეფასების განხორციელება ობიექტის კლასიდან გამომდინარე.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.12.2010 წ. #1742 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.